RE: პროექტი

Amiran Gamkrelidze <A.Gamkrelidze@ncdc.ge>

Fri 3/30/2018 8:05 PM

To:David Sergeenko <dsergeenko@moh.gov.ge>;

ბატონო დავით მოგესალმებით,

დაახლოებით ვიცი ამ საკითხის შესახებ. მოგეხსენებათ ამ ტიპის კვლევები და გენეტიკური ბიბლიოთეკები უკვე ბევრ განვითარებულ ქვეყანას აქვს.
დღეს როდესაც პერსონალიზირებული და ე.წ. პრეციზიოზული მედიცინა ტარგეტული თერაპიით ძალიან აქტუალურია და მისი განვითარების მთავარი ლოკომოტივი ონკოლოგიაა თავისთავად ასეთი ინიციატივების განხორციელება მისასალმებელია. მოგეხსენებათ ამ ტიპის კვლევები სერიოზულ ფინანსურ ინვესტიციებს მოითხოვს, თუმცა როგორც პროექტშია აღწერილი მათ ძვირადღირებული სექვენატორები აქვთ, მათ შორის შემდგომი გენერაციის. არ ვიცი მათი შესაძლებლობები ადამიანური რესურსების მხრივ.

მოგეხსენებათ ბაქტერიების, ვირუსების და სხვა მასალის (არა ადამიანის) გენეტიკური კვლევები ლუგარში მიდის, სადაც დგას ასევე შემდგომი გენერაციის სექვენატორი და არის შესაბამისი ადამიანური რესურსი, მაგრამ არ არიან ბიოინფორმატიკოსები, რომელთაც ადამიანის გენომის ანალიზი შეუძლიათ. ისინი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბაქტერიებისა და ვირუსების დნმ-ისა და გენომის ბიოინფორმატიკულ ანალიზს აკეთებენ.

ზოგადად როგორც მოგახსენეთ ადრე, კარგი იქნება ქვეყანაში ადამიანის გენომის პროექტის ინიცირება, მაგრამ ამას დღეს საქართველოში ცალკე აღებული, ჩემი შეხედულებით, ვერცერთი ინსტიტუტი ვერ შეძლებს თუ სხვადასხვა ძალები არ გაერთიანდა. მე მქონდა ერთხელ მცდელობა ამ რამოდენიმე თვის წინ ამ საკითხებით დაინტერესებული პირების შეკრების ჩვენთან და გარკვეული ბრეინშტორმინგის, მაგრამ სამწუხაროდ წინ ვერ წავედით.

თუ რათქმაუნდა თუ ამ პროექტის დაფინანსების შესაძლებლობა გამოიძებნება როგორც პილოტისა და ასეთი პროცესის დაწყებისა ქვეყანაში კარგი იქნება, რადგან მას პრაქტიკული მნიშვნელობაც ექნება, მაგრამ არა უახლოეს ორ-სამ წელიწადში ჩვენთან, თუმცა არ ვიცი ვინ არის ავტორი და რამდენად განახორციელებენ.
ერთში დარწმუნებული ვარ, რომ ამ ტიპის პროექტებს სერიოზული სამთავრობო მხარდაჭერა ჭირდებათ (პოლიტიკური, ფინანსური) და ალაბათ მაინც ქვეყნის ადამიანის გენომის პროექტის ინიცირება უნდა მოხდეს რაღაც დროს.

პატივისცემით

ამირანი

From: David Sergeenko [mailto:dsergeenko@moh.gov.ge]
Sent: Friday, March 30, 2018 6:59 PM
To: Amiran Gamkrelidze
Subject: FW: პროექტი

სალამი ბატონო ამირან

ეს პროექტი გამომიგზავნეს და იქნებ გადახედოთ და თქვენი მოსაზრებები მომწეროთ.

მადლობა
პატივისცემით
დათო